




# საპარტეველი

სურათიანი ლაგატიანი  
გაზეთის № 51 ლაგატიანი № 10

კვირა, 5 მარტი, 1917 წ.



დემ. კარლო ჩხეიძე  
დასარულბელ კომიტეტის წევრი

ეპისკოპოსი კირიონი  
საქობლოსათვის წამებული და აწ განთავისუფლებული სასჯელისაგან.

## მ-ს

ვიშ რა კარგი რამა ხარ ტურფა, ნაზი, ნარნარი;  
სატრფოს ბედის საზღვარზე მომხიბლავი ცისკარი.  
ზოგჯერ ჩუმი ტბასავით ხან ტკბილად მოუბარი.

იცი, როგორ სწყუროდა ჩემს გულს შვება სიამე?  
ქალო, მე შენს ლოდინში მთელი დღე დავაღამე.  
ფიქრმა სად არ წამიღო, ფიქრით სად არ ვიარე;  
და გმადლობ, რომ თამამად მოხველ, შემოიარე!..

## გა მოვიხიზლა

მე მოვიხიზლე, ქალო, შენი მწვენიერებით  
და სევდიანმა სიყვარულის ვწერე ლექსები  
მას აქეთია სულ შენ გეტრფი თავ დავიწყებით  
აღარ გეხსნები, ჩემო კარგო, აღარ გეხსნები!

მხოლოდ არ ვიცი თან რად დაგვდევს სევდა დამწველი;  
მითხარ, ლამაზო, ვის უწყრები, ვის ემღურები?  
მე შენი ეშხი არ მასვენებს, ვიწვი და ვდნები;  
ო, რა ძნელია, როცა, სატრფოვ, შორს მეგულები!

\* \*

როცა ისმენდი ჩემს საყვედურს დამსახურებულს,  
ლამის ბურუსში გახვეული, ხმა გაკმენდილი,  
შეგრცხვა, შეწუხდი და გაწითლდი, გაწითლდი ისე,  
ვით მზის ჩასვლის ჟამს ოქროს სხავით ცა მოწმენდილი...

აღარაფერი არ რჩებოდა ჩვენში საერთო,  
ტრფობის აღმური ვერა სწავდა გულს დანაცრებულს;  
ჩვენ ვშორდებოდით სამუდამოდ ერთი მეორეს  
და ვივიწყებდით პირველ ტრფობას, პირველ სიყვარულს!..

ქნარი.

## ხეპსურები

(ლექსები გაგონილი ღვთისო გიგაურისაგან.)


I  
მონა დროება დაგვიდგა სრულსა ქართველთა შვილთაო,  
დაიძრა დედა-მიწაი, მოსწყდა ნაპირი ცისაო;  
მავიდა ტელეგრამაი—პასუხი ხემწე—საო:  
არიქათ, ქართველთ შვილებო, თოიემ მეფობა სჭირსაო!

დღეშეთ შაქრითა ლაშქარი რუსისა ხელმწიფისაო;  
მიწაზე არ ჩავარდება წვიმა მასული ცითაო.  
ბეგრს გაპყოლია საწყალსა მდობაი დიაცისაო;  
ინატრის ბეგრი ვაჟკაცი—ომ, ნეტავ, აქვე ჰქმნისაო!

გამართეს საქალაქოთა თან გაპყვა შუქი მზისაო,  
შაწუხდა უძილობითა კანდიტორ მაშინისაო,  
ომია გრანიცაზედა, სისხლმ მიწა დასწო ძირსაო.  
ღმერთო იწყინე, ბრალია სიკვდილი კობაისაო\*),  
მხრებზე ჩინისა ჩამოხსნა, წელზედით შახსნა ხმლისაო,  
ფუნჩათ დროების ჩამორთმა, ვინც ცინობს ყველას სწყინსაო.

II  
ავსტრიას გერმანიასა ხელში აქვს თავის ქვესაო,  
გატეხვა რუსთა მეფისა ნაბძანებ არის ხთისაო.  
ჯარი ჰყავს ამაგოდენი, ქოჩ\*\*\*) აწვანდების მთისაო,  
საომარი აქეთ რუსებსა:—ტყვიას ბზესავით შლისაო.  
მარტო ნუ ღგონოფ მეფესა, მქედელ ბეგრი ჰყავს მხრისაო.  
ამაგის მალექსებელი—მათქმელი ბეგრის სხვისაო,  
სალექსოდ გამოგიგზავნეთ, ინტოვკა სალდათისაო,  
თან ბილეთ გამომიყოლეთ, მქონდის ნებაი გზისაო.  
არ მოვშილი ვაჟკაცთ ქებასა, საც ჯერსხავს ლუდის სმისაო.

\*) ხევსური-ოფიცერი, მოკლულ იქმნა პირველ ბრძოლებშივე.  
\*\*) მთის ბალახი.



კახეთის კავშირის გამგეობა  
სოსო ივ. მაჭავარიანი, დავ. პეტ. ლუკაშვილი, დავ. ნიკ. ქადაგიძე.



თ. ივ. ალ. ნაკაშიძე  
(სახემწიფო ასპარეზზე მოღვაწეობის 50 წლის იუბილის გამო).

### რიონი

რიონი სჩქეფს, რიონი ყეფს,  
რიონი შლის ფაფარს,  
ფაზის მთის მკერდს უზეწარებს  
ნქეველები ქაფს ნაფარს.  
ზვირთ-ტალღები, კლდის წამლები,  
მოაგორებს ლოდებს, —  
რიონის ხმა კენესა-გმინვით  
„ოქროს ჩარდახს“ გოდებს!  
სოლომონის სრა-სასახლე  
უნთქავს დროთა ხმაურს,  
ეს მიდამო, არე-მარე  
ელის აურ-ზაურს.  
და ტაძარი ბაგრატიისა  
ძველ „უხიმერიონს“ —  
მგლოვიარედ ჩამოსტირის  
მისებრ მტირალ რიონს!  
ტაძრის თავზე ღამით ხედვენ  
ვარსკვლავს შესანიშნავს  
და რიონი ახალ მეფეს  
„ოქროს ჩარდახს“ ნიშნავს!...

შალვა კარმელი.

### თეთრი ზაფხუნი

(რომანი)

(გაგრძელება)

ბოლოს ეღიროს საწოლ ოთახთან  
დაბრუნება. რამდენი წელია, რაც არ  
ენახა? ამ კოშკში აღზარდეს, აქ გაა-  
ტარა ბავშვობა, როგორც ზღაპარულმა  
დღეოფალმა, ვიდრე დამოუკიდებელ  
ცხოვრებას შეეჩვეოდა. როგორის  
აღერსით ესიყვარულებოდათ ყოვე-  
ლისფერი! კედელი, აზიურ გემოვნე-  
ბით შეკაზმული თავად არჩილის მიერ,  
დღესაც საგანგებოდ გამოიყურებოდა.  
ირმის უშველებელი რქა ლამაზად  
იკავებდა ბროლის სარკეს. მშვლის  
რქის შანდლები, გიშერა ჩლიქები  
ვერცხლისა და შევარაყებულ ნაღე-  
ბით, ეხლაც ისეთსავე დიადს შთაბე-  
ჭდილებას ახდენდა, როგორც კედლის  
ხალები პატარა კურდღლის ბაჭიებით  
და მელიის ბარტყით, რასაც მალი  
პატარაობისას სინამდვილედ იღებდა  
ხოლმე. ცვალებადობა ისევ საგარძღებს  
შესტყობდათ. ყველას ხავერდი შეჭ-  
ხუნებოდათ. ზოგს საზურგეც გადაჭ-  
კვლევდა, ფეხი მოსტეზოდა და ინ-  
ვალიდსავეით დამძარბული გამოიყუ-  
რებოდა. კრაოტის წინ ვეფხვის ტყავს  
მხოლოდ რქენილს კბილებით თუ

იცნობდით. მაგრამ მალის ამისთვის  
ყურადღება არ მიუქცევია, როგორც  
სრულიათ გაქუცულს და უფერულს ირ-  
მისა და მშვლის ტყავებისთვის. მას  
ისევ ვერცხლისტარა მათრახმა მოს-  
ტაცა თვალი. ეს ნათლის სახსოვარი  
იყო, ნათლია კაცს „ჩერქეზობის“  
დროს ქორიასთან ერთად სწორედ  
თამარობა დღეს ეჩქებინა მისთვის.  
საწყალი ქორია! როგორ აქენაგებდა!  
„წმიდა გიორგის რაში“, როგორც  
ეძახდნენ სოფლებში, საბოლოოდ  
მენახშირის წერა გამხდარიყო. მათ-  
რახმა ქორიასთან ერთად კიდევ ბევ-  
რი რამ გაახსენა. რამდენჯერმე ჰაე-  
რში გაატყლაშუნა. ასე ეგონა, ეხლაც  
იგივე ამაზონი ვარ და თოვლია მე-  
რანს მივაქროლებო. მთვარის შუქზე  
მივიდა, რომ ტარზე ამოჭრილი ოქროს  
ასოები ამოეკითხნა. ეხლაც მონოგრა-  
მა ისეთივე კარგი ქარაგმებით იყო  
მოკაზმული, როგორც ძველად. სარ-  
კმლის მოაჯირზე ჩამომჯდარი დიდ-  
ხანს ეალერსებოდა მას. მოგონებათა  
ნეტარის სფეროში მიმოჰფრინავდა.  
ვინ იცის, სად არ იყო, რა არ მოი-  
მოიარა. შემდეგ ყოველისფერი წაიშა-  
ლა, ერთგვარს ბურანში გაეხვია. მის  
აზრს, მის სურვილებს აღარავითარი  
მეტყველება არ ეტყობოდათ. იგი  
მხოლოდ მშობლიურ ჭერის მყუდროე-  
ბით სტკებოდა მშვიდად. თითქოს  
განგებ ბუნებაც მომჯადოვებელს  
ქსელსა ჰქსოვდა. კისკისა ვარსკვლავნი  
ტატობზე ცეკვა-თამაშას უმატებდნენ.  
დაბლა ხევიდან გიჟურას ტალღების  
მისტიურმა შხუილმა უნებურად მიი-  
პყრო მისი ყურადღება და ზღაპართა  
ქვეყანაში წარიტაცა. იდილია ამ ბუ-  
ნების წიაღში, სიცოცხლე მის ფრთა-  
თა ქვეშ და სიკვდილი მისსავე აღერ-  
სში! მალის ყოველისფერი აჯადოვებ-  
და, წარსული, აწმყო, ზღაპრულ იდუ-  
მალების ნაკვეთი სილამაზე, სივრცე,  
ვარსკვლავთა პოპური, მვარის თამაშა  
კისკისი თუ სურნელად აფრქვეული  
ხეხილი და ყვავილთა ნარნარი საყურე  
კოკრები. თვით ღამურებიც კი მას  
თვალს სტაცებდნენ, როგორც ფან-  
ტასტიური ლანდები, ვერცხლის სხივ-  
თა შავი ლაქები. ისე მოეჩვენა თით-  
ქოს სიზმრისებური რაღაცა მოხდა.  
ათასი სურვილი და ათი ათასი უცნა-  
ურა სურათი გარდაეშალა თვა წინ.

ბროლის კოშკთა სამეფოში ვარდის  
გრაციით დასცურავდა. საოცარია!  
სურათთა ვერცხლის სხეულზე არც  
ერთი მწუხრი თუ ყომრალი ფერადი  
ზოლი არ ერია! ყველა წარმტაცი  
იყო, მომხიბვლელი, როგორც ოცნება,  
სანუგვარი როგორც ოკეანის ქაფის  
აკვანში დარწმული ცელქი ფერია და  
სურნელი, როგორც ზმანების ოცნე-  
ბით მოწყვეტილი ვნების სუბუქი  
ვარდის გული. ფანტასტიური მოგზა-  
ური ღიმილისა და აღერსის ბილიკე-  
ბით დაქტრიალებდა. აგერ, ისე მოე-  
ჩვენა, თითქოს ვარდის ხევიდან ეძა-  
ხიან კიდევებზე ყვავილები ჩურჩულით  
შრიალებენ. უცნაური ხმა ჩრდილავს  
ანგელოზთა ციურს ორკესტრსა. აგერ,  
ისე მოსჩანს, თითქოს „გიჟურას“  
ტალღებს რაღაცა მოაპობს, მოქშუის...  
თქარა-თქურია... აქილესის ბედაურია  
თუ? ზარებს აწკრილებენ... რა ამბა-  
ვია, თქვენი ჭირიმეთ, ეს რა სიმფო-  
ნიაა? ანგელოზთა მაყრული... ფერია-  
თა ქორწილი... აი, აკკორდი გარ-  
კვეულს სახეს იღებს. ბედნიერია მა-  
ლი... სიზმრის სხივებით იქსოვება. ეს  
ხომ ნაცნობი ხმებია. საიდან, როგორ?  
სად გაიგონა? ჰო, ჰო... აგონდება...  
იქ... თბილისში... საკუთარს ბინაზე...  
იმ ნეტარ დროს... მისი საუცხოო  
მეგობარი რომ უკრავდა ნაზ სულთა  
სერენადას... გულის ამყვავილებელს  
„თეთრს ზამბახს“... ნეტარებით გაა-  
თრთოლა. მაგრამ რა უნდა ამ ჰიმნს  
ამ სიშორეზე? ვინ უკრავს? ნუ თუ  
კომპოზიტორი მართლა უცნობი იყო  
და მისი სანუგვარი შემონაქმედი ლე-  
ლომ თავხედად მიითვისა? იქნებ ეს  
უცხო აქაურიცაა! ვინ იცის, იქნებ...  
მაგრამ არა, ლელო არ იცრუებდა. ეს  
თვით მის გულის ძახილია... კურთხე-  
ვის მაყრული... დაკვრაც რომ იმისასა  
ჰგავს! ნამდვილად ის არის, ის... მისი  
თითების გოგმანი... ალღოთი ჰხედე-  
ბა, თვით სურნელით ჰგრძნობს, რომ  
შორს არ არის სანუგვარი... მაგრამ  
შეხედეთ, თქარა-თქური ახლოვდება...  
ვიღაც ბედაურს მოაქენებს... მაყრიო-  
ნია, თუ? იქნებ ბედნიერება უნდა  
აუწყოს. ნეტავ, მხარს ვინდა უხვევს  
ბაღდათი? ალბად ამისთვის განსა-  
კუთრებული განკარგულება იქნება გა-  
ცემული... ბედაური ფრუტურნებს...  
ტორების ცემით ჰხატავს მხედრის მო-

უთმენლობას... ბუღმა დაპბურა მთვა-  
რის შუქი... სჩანს, მხედარი შორიდა-  
ნაა წამოსული... ბედაური ნესტოებით  
ქარიშხალსა სცემს... გრიგალად მოჭ-  
ქრის ოშხივარი...  
— აჰ, რომ ის იყო!...  
გაივლო გულში. მალი აცახცახდა  
ლელოს გახსენებაზე. ცნობისმოყვარე-  
ობამ ფრთა შეისხა.  
— მერე და რაა გასაკვირველი?  
სიურპრიზისთვის სჩადის... აღარ მოი-  
თმინა ორიოდღე დღე და ფეხდაფეხ  
მფრინავი რაშით გამოედევნა.  
მალის ერთგვარმა სიამაყემ გაუთა-  
მაშა. თამამად სარკმელით გაიხედა  
ალაყაფისკენ, რომ უცნობ მხედრის  
ვინაობაში დარწმუნებულიყო.  
— აკი ვთქვი, ის არის მეთქი.  
აღტაცებით გაივლო გულში. მართ-  
ლაც, მხედარი ლელო იყო. მალაღ-  
შუბლი, მარად სევდიანი, მხედრობ  
შიც ნაღვლით საფე მიბინდულ ორ-  
ბის თვალები... მაგრამ, ეს ას არ  
უშლის, რომ მერანს საუცხლო მხედ-  
რად ჰყავდეს. ნამდვილი ჰანია! ბუ-  
ნებამ იგძნო მისი მფურთე სიდიადე  
და ავი იმიტომ ფერი იცვალა: ცა-  
ცხვის ხეივანი იაგუნდის შტოებით  
კის დასავლამდე გადიქიმა. მხედარი  
ლაღობს, თავის ბედაურს დაპრო-  
ლებს, როგორც ზღაპრული მზე-ქაბუ-  
კი. ესეც ჩერქეზია, თუ? რა მოხდენი-  
ლად ჰხტის და ჯდება, მიხანში ესგ-  
რის ოქროს თასებს... ფარიკობს...  
ორთა ბრძოლაში იხმობს უცხო ფა-  
ლავენებს... აგერ, ვერცხლის შუბით  
გადმოაგორა მეტოქის თავი და თავ-  
მომწონედ შემოსძახის მალის—მზე-  
ქალას:  
— ეს შენი არის, დედოფალო!...  
— დედოფალოო?!.  
— ჰო, დედოფალო დედოფალთა...  
მალი ჰნეტარებს. ოდნავი ზიზღი,  
არც თუ მწუხარება არ ეკარება მის  
გულს, რომ უბედურ მსხვერპლის თავს  
ჰხედავს. აგერ, მხედარმა დაამთავრა  
ასპარეზობა და ხელის სათხოვნად მე-  
რანს სადავით კისერს უგრებს, ყალყზე  
აყენებს მის სარკმლის წინ.  
— ხელი მომეცი, მზისა დარო, მო-  
მეცი ხელი! ურიცხვი მტერი დავი-  
მარცხე, მათი სარდლის თავი აქ მო-  
გართვი ოქროს ტაბაკით. მომეცი ხე-  
ლი, დედოფალო, გამომეყ ცოლად.

რა მთას იქით ზურმუხტის კოშკი  
 ვს, ბროლისა და იაგუნდის ცხრა  
 ლაფანი არტყია გარს. იქ, კოშკის  
 მას, აღმასის ხერხელით შევალთ  
 ბო. სამთავროში, სადაც დაგმზადე  
 ლისა და იაგუნდის დიდი სასახლე.  
 შენთვის მზად მაქვს ინდოეთიდან  
 ტანილი ძვირფასი ქვეები, გაქვავე-  
 ლი განთიადის სხივთა მთოველი  
 ილიანტები, მომაკვდავ ქალწულის  
 ერსით რომ გარს გვეხვევიან ნაზი  
 თოლვეთა. საბერძნეთიდან მოგვთა  
 ლით მოგზიდე არტემიდეს ტაძრის  
 გენება ახალ მთვარის საფირონები,  
 გე მზადა მაქვს უამრავი საღმრთო  
 არაგდა, რომლითაც ქურუმნი აღ-  
 ნებულ გულის საიდუმლოს წაიკით-  
 ვდნენ და გარდუშლიდნენ შეყვარე-  
 ულს სამოთხის აღფრთოვანებულს  
 კეკლუცესა. მომეცი ხელი, დედო-  
 ფალო! აჰა, დაჰკრა საათმა, ლაქვარდი  
 ის ხელით გაგვიღო ახალი სასუფე-  
 ლი, სადაც ჩვენს ღამეთა კეკლუცი  
 ხმრები ზმნების ქსელით ამოჰქსო-  
 ნ დღის სინამდვილეს. მომეცი ხე-  
 ი, დედოფალო! ასირელთაგან წი-  
 ელ-ყვითელი კენჭები მაქვს ჩამოტა-  
 ლი. მათი შეხებით მკვდარი სდგება,  
 თოცხალს მეფუფედ გარდაჰქმნის. დას-  
 ვამ და ვარდის სუაჩნელებით ცად  
 კეკლევი. ჰაეროვანს სასახლეში ათასი  
 ვერია გვეყოლება ტურფა მოახლედ,  
 თი ათასი ურჩხული გიდარაჯებს, მი-  
 ლიონი თეთრი ფარშავანგი ნიაგჰარო-  
 ხს მოგვიღვენენ მზის მარათი... მო-  
 ეცი ხელი, დედოფალო! იქ ერთი  
 ება მაქვს. ოქროს თევზებს გაგვივნი-  
 ებ. ლოკოკინათა მარგალიტით მორ-  
 ულ სადაფის ეტლით შორს გაგა-  
 როლებ, მოგატარებ ოკეანის ფსკერს,  
 ღვის დედოფლობის კვერთხს ჩაიდებ,  
 რომ ცა და ხმელეთი შენი იყოს... მო-  
 ეცი ხელი, დედოფალო! თუ არ იკმა-  
 ებ, გასწავლი გრძნეულებას, თუ  
 უღმა როგორ იადონოს: გადახსნი  
 გოლოთხალს და ლალის ფრთებით  
 შეიმოსები, შენ გარდიქცევი მარადიულ  
 ქალწულის სახედ, ათასფეროვან მნა-  
 თობსავით მოთინათინე, რომ ტოპაზთა  
 მარნარი ცისარტყელას სხივთა ფრქვე-  
 ვითა შენს ქალწულების კეკლუც ცე-  
 ვით ნეტარების კუნძულად იქცე-  
 მომეცი ხელი, დედოფალო...



გიორგი ბ. კახიძე  
 მის საპედაგოგო მოღვაწეობის 30 წლის  
 იუბილეს გამო კავკასიაში.



Elias Lönnrot.  
 1802-1884  
 ფინური ეპოქის მკვლევარი  
 ელიას ლონნოტი

ისიც შეჰკრთა. ინსტიტუტურად ისევე  
 უკან გადმოიხარა. თვალები მოიფშვ-  
 ტა. მოჩვენება გაჰკრა. გულიდან შავი  
 ვარდის კენესა აღმოხდა. სიამის ჩამ-  
 შლელი ვარდის ტოტი მოსწია, სატრ-  
 ფოს ნაცვლად გულთან მიიკრა და  
 მის ვნებიან სურნელს ხარბად დაუწყო  
 ყნოსვა. დიდხანს, ძალიან დიდხანს  
 სთვრებოდა სურნელითა. გაბრუნებული  
 ჰკოცნიდა ვარდს და მის სურნელთან  
 ერთად თვითონაც იკმეფოდა და მთვა-  
 რის სონეტებში და „გიჟურას“ პო-  
 პურში თავდავიწყებით ინთქვებოდა.  
 იგი ნათლად ჰხედავდა, თუ მისი თე-  
 თრი და წმიდა სიყვარული, როგორც  
 საღმრთო ტბის გედის ფრთები, რო-  
 გორის გრძნეულებით ძლიერდებოდა,  
 აღფრთოვანებულს აკარდებზე და-  
 დიოდა.

როდის როდის შეირბა ღამის გარ-  
 დატების შავი რიდე. მამლებმა იყა-  
 ვეს. მთვარემ პირი იკრთო. ზამბახი  
 აცრემლდა. ნიავმა დაისისინა. ბულ-  
 ბული აკენესდა. მალის საღმრთო  
 ჟრუანტელმა დაურბინა. აძვილიგე-  
 ბულმა ჩამოშლილს კულულებზე ხელი  
 ჩამოისვა. იამა რომ ეინჯლის ცივი  
 აღმასები საყვარლად ხელზე დაუგორ-  
 და.

— აჰ!.. აჰ!.. აჰ!..

სიამით მთვარას გააზმორა და შე-  
 იფენთა მკლავებზე მოწოლილი სი-  
 სუსტე. ერთხელ კიდევ მიეღი გულით  
 შეისუნთქა ვარდის სურნელი და შტოც  
 გაანთავისუფლა მთლად დათენთილი,  
 მოსრესილი. ამასობაში ცა შეწითლდა  
 ბაღში ბელურები აქლმურტულდნენ.  
 ნაადრევად ბუდიდან შოშია გადმო-  
 ფრინდა და მალის სარკმლის წინ  
 ფრთების ქოთქოთით განთიადს ჰან-  
 გით შეეგება. აი, მზემაც ამოანათა.  
 მალი დაიბნა. მოჩვენებასავით გაფით-  
 რებულყო. ოდნავ ბედნიერებით და-  
 ტანჯულს ჰაეროვანი ღიმილი დასთა-  
 მაშებდა შელურჯებულს ტუჩებზე. გა-  
 შტერებული შეჰყურებდა კავკასიონის  
 გრებილს და მის ვარდის ფერს სილუ-  
 ეტსა, სადაც ჰხედებოდა სასწაულის  
 მღვდელმსახურება. ჰაპნოხისაგან მხო-  
 ლოდ მაშინ გამოერგვია, როდესაც  
 მხემ ისარი თვალებში სტყორცნა. შო-  
 დუნებული თვალები მოეკვეთა. უმაღ-  
 ლო მობჰუჭა, წაბარბაცდა. მკლავები ფა-  
 რად მოიხმარა. ისე მოჩვენება, თი-  
 ქოს მილიარდი წითელ-ყვითელ-შავ-  
 მოლურჯო წერტილები დე რგოლები

მიმოჰქრიანო. მალი ფარფატით მივი-  
 და საწოლთან. ნახევრად ძლივის მოა-  
 ხერხა გახდა. თავმა გადასძლია. თით-  
 ქმის მოცელილი დეცა ლოგინზე. სა-  
 ბანი არც კი შეუსწორებია. მალე ისე  
 ჩაეძინა, რომ არც კი შეუნიშნა, თუ  
 ამ დროს საღმრთო ილიონსავით ავიზ-  
 გიზებული კავკასიონის გრებილი გან-  
 თიადის ელვარე ფრთებით როგორ  
 ცეცხლის ვეშაპად გამოსტურდა ვარ-  
 დისფერს ზღვაში...

XIV

ჯერ კიდევ გულის ძილში იყო, რომ  
 კნიაჟნა მერიმ გააღვიძა. რა რიგ გაი-  
 ხარა! ორთავემ გადაჰკოცნეს, ლოგინ-  
 ში დაუთმო ადგილი და ასე მოჰყვენენ  
 მხიარულს ჰიკიკის. საუბრის საგანი  
 ჯერ მახლობელთა გამოკითხვა, სო-  
 ფლის ავგარგი იყო, შემდეგ პოეზიამ  
 დაიჭირა ადგილი. მალის უფრო ის  
 აინტერესებდა, თუ წრეულს როგო-  
 რი ზაფხულია, ვარდის ხევი ხომ კარ-  
 გად ჰყვავის, ან და „გიჟურა“ ხომ  
 ასეთივე წარმტაცი სანახავია, როგორც  
 წინად იყო?.. ყოველს დამაკმაყოფი-  
 ლებელ პასუხზე მალი ჰხარობდა, უმაღ-  
 თბილისში მიჰქროდა თავის თავის მე-  
 გობრის სარკმელთან: „აჰ, როგო გაი-  
 ხარებს... ლელო კმაყოფილი იქნება...  
 ლელო აუარებელ სურათებს შეჰკრებს  
 გრანდიოზულ რამის შესაქმნელად“...

ტკბილი საუბარი კნინა ფეფელამ  
 შეაწყვეტინა:

— აღარ ადგები, შეილო, შუა დღე  
 კიდევ მოახლოვდა, ჩაი გაცივდა...  
 თუ გინდა ნაღებს შემოგიტან...  
 მაგრამ მალის არავითარი ნაღები  
 არ ეჭირებოდა. ყოველისფერის მა-  
 გიერობას ახლა მერი სწევდა. ისე  
 ეალერსებოდა, როგორც პატარა დას.  
 თიმებზე ხელს უსვამდა, ლოყებს უსრე-  
 სდა. მერის კიდევაც უკვირდა მისი  
 ასეთი არაჩვეულებრივი გადაჭარბებუ-  
 ლი აღერსი. ათასი რამე გაინსენეა  
 წარსულიდან, ანცობა, ერთად გატა-  
 რებული პატარაობა, შემდეგ აქ, ვარ-  
 დის ხევი, ახალგაზრდობის თავის  
 მოყრა, კავალკადის დაუსრულებელი  
 ელივილ-ხივილი, ჯირითი.

კნინას ახალმა შენიშნამ აიძულა  
 პატარა ქალბატონი წამომდგარიყო.  
 კაპოტი მოისხა. პირხახოცი მხარზე  
 გადგდო, საპონი აიღო და მერისთან  
 ერთად ჩახრილასკენ გასწია. კარზე  
 გამოსვლა იამა, მოთენთოლ სახეზე  
 ხიოს ფრთებმა სიცოცხლის წყაროს

მოჰხსნეს პირი. თუმცა ცხრათველა  
 მზე იდგა, მაგრამ მათი ბალსონის  
 მაინც ვერა დაეკლო რა. მალი ნაპ-  
 რალთან ჩამოჯდა, აქედან სწვდებოდა  
 წყაროს, მუტს ცივი წყლით ივსებდა  
 და მის ნამებით სწუწავდა თავის სი-  
 ყრმის სწორსა. ანცობამ გაიტაცა.  
 ჰხარობდა, რომ ლალ ბუნების პირის  
 პირს წარუდგა. სწრაფად პირი ჩამო-  
 ირბინა. საპონი აღარც კი გაჰხსენე-  
 ბია. სახელდახლოდ შეიშრიალა. შემ-  
 დგ მერის ჩაჰკიდა ხელი და ქურციკ-  
 სავით აირბინა ჩახრილას თავზე.  
 აქედან მის წინ გადიშალა საყვარელი  
 პანორამა მთელი ხეობისა. ფერდობზე  
 გაშლილი დეცა ის-ის იყო მწვანე ქა-  
 თიბს იცვლიდა და პორფირით იმო-  
 სებოდა. ზეფირი ფრთხილის ანცობით  
 დასრიალდება თავთავებზე. ორთავე  
 მისდგნენ. მალიმ ხარბათ შეისუნთქა  
 საკმეველსავით შეზავებული ჰაერი.  
 სიმთვრალემ მოიცვა. გაბრუნებული  
 შეჰყურებდა ზვირთთა საამო სრიალ-  
 თამაშს.

— იცი, მერი, ბუნება, ყოველგან  
 ბუნება, — წამოიძახა ალტაცებით, — მის  
 იქით, საბოლოოდ ყოველისფერი ნა-  
 ძალადეგია. თქვენი მეცნიერება, თქვე-  
 ნი ზრუნვა შიმშილ-სიცივის დასაფა-  
 რავად, სახელმწიფო, ოჯახი, კანონე-  
 ბი, ლაშქარი, ომის ძახილი, სამსჯავ-  
 რო თუ სხვა რამ ათასი დაწესებულე-  
 ბა, ყველა ერთობ მხოლოდ და მხო-  
 ლოდ პირვანდელ ინსტიტუტის დასა-  
 კმაყოფილებლადაა მოგონილი, ჩვენი  
 პირუტყვობის დასაკმაყოფილებლად;  
 ცხოველები ვართ და როგორც  
 ასეთს გაძლიო და უზრუნველყოფა  
 გვეჭირება! სულ სხვაა ბუნება, სულ  
 სხვაა მისი ჰერეტიკა: მხოლოდ არტის-  
 ტი, მხატვარი! აღმალდება ყოველ  
 დღიურს მოთხოვნილებზე და მიღწე-  
 ვა-მიგნება დაუსაბამოსი, — აი რას  
 გვიბრძანებს ეს უმაღლესი ღმერთი,  
 აი რა ცნობადის წიგნის გარდასაშლე-  
 ლად მოუწოდებს თვითოველს ჩვენგანს!

მერი გულზე თავმიყრდნობილი  
 ფიქრმორეული გაჰყურებდა ბუნების  
 კეკლუც დღესასწაულს. ყანის ფირუ-  
 ზოვან ზვირთების შუა ზეფირი წითელ  
 ალმებად აფრიალებდა ზიზილა ყვავი-  
 ლების ნარნარ აფრებს. არავისგან ხა-  
 თესი, არავისგან ნაფარცხ-ნათოხნი და  
 მოვლილი, მხოლოდ თავისით გაზრდი-  
 ლი და აწერწიტებული ყაყაჩო მათს  
 შუა თამამად ცქრილებდა, მარჯვნივ  
 თუ მარცხნივ ზვირთთა აკვნით დაერ-  
 წეოდა, მარჯნის ტუჩებით სწვდებო-  
 და თავის ღობილებს და ჰკოცნიდა,  
 ჰკოცნიდა ცეკვით, გაგიჟებით, რო-  
 გორც მენედა დამთვრალს ბახუსს.  
 ყოველისფერი აქ მეტად სადა, წარ-  
 მტაცი და გულწრფელი იყო თავისი  
 პირვანდელი მშვენიერებით, პირვან-  
 დელი სიცოცხლის სიძლიერით და სი-  
 კეკლუცით. მალიც ისე ჰკონობდა,  
 თითქოს რაღაცა მშობლიურს უბრუნ-  
 დებოდა, ეს იმ მშობლიურს, რომელიც  
 ქალაქში ყოფნის დროს თითქოს დაჰ-  
 კარგა, მიივიწყა ათას ხელოვნურ მღე-  
 ლვაობით. მიუხედავად ამისა მშობ-  
 ლიური ძალა იგი თუმცე უხილავად  
 სცოცხლობდა მასში, უჩინრად ჰკვთქ-  
 და მის გულთან ერთად, როგორც შე-  
 უმუსგრელი ძალოვანი სიცოცხლის  
 სუნთქვა. სულმა ფრთა გაჰშალა. უფ-  
 რო სერიოზული, ვიდრე მწუხრი, კენესა  
 მოსწყდა საგულეს, ცეკვით აფრინდა  
 ვარდად გადაპენტილს ქულა ღრუბ-  
 ლებში და ათას ხართა ხით გაბრუნე-

ბულმა მნათობთა სხივებში იხილა უხილავი, იხილა მშვენიერება, რომელიც მერცხალთა გუნდის ორკესტრით მოუწოდებდა თავისკენ, საყვარელ კალთაში ჩასაგორებლად. აი, აქ ამ ჯადოსნობის უბეში იდგა და იფურჩნებოდა მისი ფიზიკური და სულიერი განმტკიცების ვარდის აკვანი, აქ მოჭხდა მისი პირველი ნათლობა და სული წმიდის გარდმოვლინება, აქ სიცოცხლემ მისთავაზა პირველი სიცოცხლე და უმტკნარი მისი ყვაფილი — მზიური სილადე! მის ათრთოლებულს ტუჩებზე მთვრალულ სიამის ღიმილი ბედნიერებით გამოჰკრთოდა. რა რიგ სწყუროდა ეკოცნა მზისთვის, ყვაფილთათვის, მთისთვის, თვითეულ ბუჩქისთვის! სწრაფად ყანაში შეიჭრა. რამდენიმე ყვაფილი მოსწყვიტა და კისკისით მერის გადმოუფლო. რა რიგ გაიხარა, როდესაც ზვირთებს მოსტაცა ყელყარყარა დედოფალა ყაყაჩო, რომელმაც მოწყვეტისთანავე ალმასების კრაალოსანს ხელი გაუშვა და ცოცხლად დააბნია შუშა თითებზე. საღმრთო ჟრუანტელმა დაუბრინა. ყაყაჩო დაჰკოცნა. ამ დროს ამ ყვაფილის განსაკუთრებული სიმყარე არ არსებობდა. იგი განჰქრა და მის თვალში ლეგინდარულ სამოთხის ყვაფილის სურნელებით აივსო.

თავთავების ჯარი უკან გამოარღვია და ისევ მერის დაუწყო მისაყვარლება. ჩახრიალას თავზე ხის ძირს ჩამომსხდარნი უთავბოლოდ აქიკაკუნდნენ. მალის რაღაცა აწყობებდა. მისი გონება დიდი ხნია ქალაქში მყოფს მეგობრის სარკმელს დასტრიალებდა. უნდოდა, რომ ეს განცდანი და ბედნიერება ლელოს საკუთრებად გარდაქციულიყო. თითონაც ვერ შეჰნიშნა, თუ როგორ მოჰყვა მისი ტიტინსა, ისეთის ალტაცებით უამბობდა, თითქოს გულის საიდუმლოში ახედებდა. ლელო ჩემი საყვარელი იდეალიაო! როდესაც თავდავიწყებულამ გამოვიდა, შეჰკრთა, მაგრამ მალე შესცვალა ფრონტი, მერი ყურებამდინ გააწითლა, რომ ეს ადამიანი... მისთვის უნდა...

— მალი... გესმის კი, რასაც ამბობ?..

სიწითლე ახლა მალის მხარეზე გადმოვიდა. შენიშნამ თავდავიწყებულამ გამოიყვანა და თითქოს მოსაბოდიშებლად თუ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მოჰყვა გეგზე საუბარს, თუ როგორ დაინიშნა, როგორ ჰზრდის საკუთარ შრომით, რა საიდელალო კაცს ეთავყვანება მასში და სხვა.

— ქვეყნიერებაზე თუ რამ არსებობს მშვენიერი, ესაა მხოლოდ და მხოლოდ შეყვარებული გული..

სიყვარულის ფილოსოფიამ კვლავ თავდავიწყებულამდინ მიიყვანა მალე მერის უმანკო გული აავსო ამ საიდუმლოს ამოცნობის წყურვილით. რატომღაც მოენატრა ამ უცხო ადამიანის მალე გაცნობა. წარმოიდგინა, ვითომც იგი კულულა თემბ დაყრილი იყო, გახსნარო, ჰაეროვანი სინათით მორთული მეტყველებით. წყნარი თვალებით, სწორედ ისეთი, როგორც ენახა შოპენი, სონეტებით მოჯადოვებული რომ თითებს კლავიშებზე აღნობს და სადღაც სივრცეში გადაკარგული ვნების ნიაფით მისციკვს სიკვდილისა და სიცოცხლის მშვენიერების თაიგულის ამოსართველად.

— რა გქნა, სადა ხართ, რათ ვერ მორჩით? — მოისმა ამ დროს დაბალი ხმა. კენი-ნა ფეფელას მოთმინებით გული გადაჰლოდა.

— ახლავ, დედი, ახლავე მოვალთ... თხებსავით ჩამოირბინეს შანთების ბილიკი. შინ მისვლისას მალის საუცხოო სურათი დაჰხვდა: სოფლები მოსულყვენენ, რიგს ქათამი მოეყვანა ძღვნად, რიგს კარაქი, მაწონი, მარწყვი, ახლად შემწიფებული მბალი. მალე ყველას თავაზა გულთან მიიღო. დაჰკოცნა, არც კი იცოდა სამაგერო რით გადაეხადნა. შემდეგ სახელდახელოდ შენაყრდა, ტანისამოსი შეიცვალა და მერისთან ერთად სოფელს ჩამოუარა ნაცნობ-მეგობრებში. გზად ყველას ნახულობდა. პატარა ბავშვებს წვრილ-წვრილ გროშებს ურიგებდა. საღარბაზოდ ყველაზე ხანგრძლივ ბიძია ზურაბთან დარჩა, მერის მამასთან, რომელმაც შინაურს სადილზე მიიპატიჟა იგი.

XV

ვიდრე სასურველი სტუმარი ჩამოვიდოდათ, მალისა და მერის ლაპარაკი სულ ლელო იყო. მერისაც თითქოს ერთგვარ მოთხოვნილებად გარდაექცა ამ უცნობის შესახებ უფრო მეტი მოეგონა. ეს უკვე მალის არ დარჩა შეუმჩნეველი და მიტოვაც ლელოს ნიჰს ფრთაზე ხმულს ქებას უფლიდა გარს. დილით თუ საღამოთი ერთად იყვნენ. ორი უკანასკნელი ღამე კი ერთ საწოლში გაატარეს და არც დაუძინათ. მთვარის არაკებს მალის გატაცებული ნაამბობი ფერს უკარგავდა. იღუმალების ჰაინოზი მის ჯადოსნურს ალტაცების სამოსს ისე ჰშვენოდა, ვით მთვარეს ვარსკვლავთა თოვი, ბუნე-

ბის მოტრფილე მალი ახლა თვით მზე დედოფლობდა. აი, „გიჟურას“ ხილვაც მოისურვა მეოთხე დღეზე. საღამოს ნისლში წითელ ისრებს სწვრავდა მზე. ძველ განაცნობმა კიდებმა გაახსენეს ახალგაზრდობა და უზომოდ მოესურვა ერთხელ კიდევ ჩამხტარიყო მის ტალღებში დასარწევლად. მერი ბავრს უშლიდა, მაგრამ ამოდ. მოჰნახა ძველი, მოფარებული საბანაო, მიყრუბულს ნაპრალთან და აქ დაიწყო გახდა. მერი მტკიცედ დარჩა გარდაწყვეტილებაზე და ახლა მხოლოდ სერიტ დაკმაყოფილება უნახოდა, რომ მალი ამ ორიოდ დღეში სრულიად განახალა მისი ცხოვრება, რომელშიაც თითქოს ერთგვარი შინაარსი შეიტანა. მალი კი ამ დროს ტალღებში შეერია. შესვლისთანავე ისე გაათრთოლა, როგორც იალქანი ახლად გამოქროლილმა ზეფირის ფრთამ. ცივი ტალღებით მთრთოლვარე, მაგრამ გამოუთქმელ ბედნიერების ჟრუანტელ დაცილილმა, მალი ამ სიშიშვლით და თამამ კისკისით თვითონვე ჰქმნიდა ელფების ზღაპარს და სიცოცხლის სასუქვარს ლეგენდას. ჩამავალი მზეც კეკლუკობდა. იცინოდა, თანაც მოცხვობდა მის სიშიშვლის თვალის მოკვრაზე. ნისლიდან გამოტურებულმა სწრაფად კვლავ მისკენ იბრუნა პირი და სუბუქი ვარდის ღრუბლები მოიხვია თავის პირბადედ. მალი მთლად დათვრა. ნელ-ნელ ცივს ზვირთებს წვლამდინ შეერია. „გიჟურა“ მისდა საბედნიეროდ ამ ადგილზე არა ჰგეჟობდა. კლდეს შეგახებულნი, გაბრუებული თითქოს ამ ღმერთქალის საბანაოდ შეგუბებულიყო. თვითონაც სთვრებოდა ასეთი ძვირფასი სტუმრის წვეულებით. ღირით ჰკლავდა, განგებ ზვირთებს მკერდს ზემოდ უტურებდა, ორ ვარდის გუნდის შერხევაზე მთვრალულ სიამით აწივლებდა. აგერ, დასძლია მის სიგიჟეს და ძველის სითამამით ტალღებს ზემოდან მოჰკურდა. ლამაზმა მკლავის მოსმამ კიდებზე მდგარი მერი ალტაცებაში მოიყვანა. შეჰშურდა კიდევ, რომ მას არ შეეძლო ასეთი სითამამე, ბუნებით ასე სარგებლობა. აგერ, მალიმ ნაპირზე ამოირბინა. აცახცახებული კისკისებდა. გალურჯებული სიმთვალისგან აღარას ჰგრძნობდა. ორიოდ ადლი გაირბინა კენებზე. ფეხები დაეჩხვლიტა, მაგრამ მინც სწრაფად ისევ „გიჟურას“ დაუბრუნდა. ახლა უფრო ღრმად შეუტურდა. რა იყო შიში, დაავწყდა. მეორე ნა-

პირზე გავიდა, აქაც — გაიქცა, უძლო, კლდის წვერზე გაეცა, სადაღანაც პატარაობისას გადმოეფებოდნენ ხოლმე. ეხლაც ფერისაგით მოსწყდო კვარცხლებეს. გიჟმაჟი კვილი ნაგვეთ ტალღების შხაპუნა ჩაჰკლა. ათას ალმასი აისროლა ზვირთის შუშუნამ და კლდის კალთებზე მიმოჰფანტა შემკრთალმა მერიმ დაიკვლა, როდესაც მალიმ ჩაიყურყუმელავა. ვინ იცის იქნებ შიშით გულიც წაჰსვლოდა, მაგრამ აი, მალი გამოჩნდა და ამანა გული დაიმშვიდა. მოჩვენებასავით ამოყურყუმელავებულმა მალიმ კორპუსი შეისწორა და ახლა ტალღებზე სერიტით გამოსწია. შემდეგ ზურგზე შეტრიალდა, ცისკენ იბრუნა პირი და ტალღათა ჰამაკში ნაზის რწვევით გაჰყვა მიმდინარეობას, როგორც მწყემსი მიერ გადმოტყორცილი მთის ყვაფილი. ასე მიჰყვა ზვირთებს, ვიდრე „გიჟურა“ სიჩქარეზე გადაჰადოდა. იგრძნო თუ არა, სწრაფად მობრუნდა და სპილოს ძვლის მკლავით გამოსტყმჩეფერი ტალღა. ნაპირზე გამოსვლისას შეჰნიშნა, რომ ძველს თავსავარდაჰშორებოდა, სადაც შეეძლოთ მის სიშიშვლისთვის მოეკრათ თვალი. დაფრთხალი გამოფრინდა. გულს იღყვით იფარავდა. ასე ეგონა ქვეყან მიციქერისო.

— შენ და შენ თავსა, — უთხოზა მერიმ, — როგორ გამიხეთქე გული...

მალი ხითხითს მოჰყვა. აძვირებულ ტანისამოსის გადაცმაში მერ მიეხმარა. ამასობაში მზემ ერთხელ კიდევ გააღწო ნისლის მარაო, სწრაფად მჭვირვალე მარმაშის კაბა გაარღვი შეშველს ვენერას გადმოჰხედა და მიკისკისე მთავი ჩაჰყო გრებილის იქით.

მალიმ ერთგვარი სისუბუქე იგრძნო როცა შინ მივიდა. გაფითრებულ უზომო შიმშილსა ჰგრძნობდა. ასეგონა, მთელი თვეა, რაც არ მიჰქმიაო. მერის კიდევ უკვირდა მის მალის ასეთი გახსნა. კენინა ფეფელ კი უკმაყოფილო იყო: რამ გაბანავე რომ გაგაცივოსო. მზრუნველობი ციციხლიც კი გააჩალა მის ბუხარში მალის წინააღმდეგობა არ გაუწვი იამა კიდევ, როდესაც ლოგინში ჩგორდა და აქედგან თვალს ადევნებდ მუფუზლის ციციხის დატკაცვა-ტკუც მალე ისე ჩაეძინა, რომ მერი არც გაუფრთხილებია, ჩვეულებისამებრ ცტა ადრე მოსულიყო.

დ. კახრაძე.  
(შემდეგი იქნება)

სტრატეგობა ტრავმის გარეშომ




ბლოკადა.



ფერიში.



დეგნა.



—ღმერთო ჩემო! როგორ ვეღლაფერმა აიწ